

ფასი 50 მ.

№ 58

1921 წ.
იანვრის 30

საბჭოთა სომხეთის საჩუქარი.



საქართველო და საფრანგეთი

შემოკლებული თარგმანი ფრანგულიდან *)

საქართველოს წარმოშობა და გეოგრაფ. მდებარეობა

საქართველო ახალ-გაზრდა სახელმწიფოა. ის აღმოცენდა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე, მდებარეობს შავი ზღვის პირათ და უჭირავს ფრიად დიდი და მდიდარი ტერიტორია. დასავლეთით მას აკრავს საბჭოთა რუსეთი, აღმოსავლეთით ანატოლია, ჩრდილოეთით სპარსეთი, ხოლო სამხრეთით წითელი ადერბიჯანი. საქართველოდან თამამათ შეგიძლიათ გაემგზავროთ, როგორც აზიაში, ისე ევროპაში... ევროპისა და აზიის სახელმწიფოებიდანაც შეიძლება საქართველოში შესვლა.

ბ უ ნ ე ბ ა.

საქართველოს ბუნება ფრიად ლამაზი და მომხიბლავია... ტყუილათ კი არ ეძახიან მას აზიის შვეიცარიას. რა გინდათ, სულო და გულო, რომ აქ არ ნახოთ!. უზარ-მაზარი მთები ამაყათ დაყურებენ (ზევიდან) თვალ-გადაუწვდენ ველებსა და ქალებს, რომლებიც, თითქმის, ყოველ ფეხის გადადგმაზე დასერილია ცელქი ნ კადულებითა და სანაოსნო მდინარეებით საქართველოს ტერიტორიის ცხრა მეათედი ტყეებითაა დაფარული. ტყეებში ცხოვრობენ და მრავლდებიან სხვა-და-სხვა ჯიშისა და ფერის ფრინველები. ეგეევე ითქმის ოთხფეხ ცხოველებზედაც: აღმოსავლეთი საქართველო განთქმულია უზარ-მაზარი სპილოებით, დასავლეთი კი აქლემებითა და ბეგემოტებით. ფრინველებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კლასს ფარშავანგები შეადგენენ...

ღირს-შესანიშნავი ადგილები.

საქართველო ერთობ მდიდარია ღირს-შესანიშნავი ადგილებით. გოგჩის ტბასა და ურმიას

*) ეს წერილი ეკუთვნის საფრანგეთის ერთ გამოჩენილ ჟურნალისტს, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე ესტუმრა—(სომხეთიდან გამოიარა)—საქართველოს და მთელი სამი თვე დაჰყო აქ. ამ ხნის განმავლობაში ის დიდის ინტერესით თვალიერებდა ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალს და გულ-დასმით სწავლობდა ჩვენი ერის ზნე-ჩვეულებებსა და ყოფა-ცხოვრებას. პატივ-ცემული ფრანგი მეტის-მეტათ კმაყოფილი დარჩა ჩვენში ნახულ-გაგონილით და სამშობლოში დაბრუნებისას იქაურ გაზეთებში მოათავსა მთელი რიგი—საქართველოსადმი უანგარო სიყვარულით გამთბარ-წერილებისა. ერთი ამ წერილთაგანი დიბეჭდა აქ აღნიშნულ სათაურით. ამ წერილმა ფრანგულ პრესაში დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია და საქართველოს ბედით დაინტერესა არა მარტო დემოკრატია,—გაბატონებული წრეებიც-კი. წერილი მართლაც ღირს-შესანიშნავია, და ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ ქართველ მკითხველებსაც გავაცნოთ მისი უფრო საინტერესო და საყურადღებო ადგილები.

მთარგმნელი.

რომ თავი დავანებოთ, მარტო ის რათ ღირს, რომ შუა-გულ საქართველოში ამაყათ სდგას. და მეფური მედიდურობით ცას ებჯინება ბიბლიური მთა,—არარატი, რომლის სიმაღლე თექვსმეტ ვერსს აღემატება. არარატის კალთები შემოსილია ტროპიკული მცენარეებით, და მის მწვერვალოზე სუსხიან ზამთარშიაც კი გაზაფხულის თფილი მზე ანათებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს მცხოვრებთა დიდი ნაწილი შემოდგომის მიწურულში ბარს თავს ანებებს და მთელ ზამთარს არარატზე ატარებს... საუცხოვო სანახავია არარატი!.. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ: ვისაც არარატი არ უნახავს, იმას არაფერი არ უნახავს... და ბუნების ეს უძვირფასესი განძი საქართველოს სამკაულს შეადგენს.

მ ო ს ა ვ ა ლ ი.

საქართველო პურის ქვეყანაა. ქართული პური ბუნებრივათ თეთრია, მაგრამ ქართველები მას ხელოვნურათ აშავებენ, რადგანაც მათ თეთრ პურს შავი ურჩევნიათ. იქაურ პურში ბლომათ ურევენ ქვიშას. ეს იმიტომ, რომ ქართული ქვიშა ძალიან კარგ გავლენას ახდენს საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე და, თითქმის, სავსებით კურნავს კუჭის ქრონიკულ კატარს... საქართველოში სიმინდიც ბევრი მოჰყავთ, მაგრამ იქაური ხალხი საჭმელათ მას არ ხმარობს: სპარსეთში გააქვთ და იქ ქიშმიშზე და ბრინჯზე სცვლიან.

მ ცხ ო ვ რ ე ბ ნ ი.

საქართველოში ქართველები ცხოვრობენ. მათი რიცხვი ოც მილიონს აღემატება. დედაკაცები გაცილებით მეტია, ვიდრე მამაკაცები. ეს დღესავით ნათელია ყველასათვის, ვისაც ერთხელ მაინც შეუხედავს იქაურ სამინისტროებში ან სხვა რომელიმე დაწესებულებაში და მოსამსახურეთა კონტინგენტისათვის თვალი გადაუვლია.

ზნე-ჩვეულებანი.

ქართველები მამაცი და მხიარული ხალხია. მათ გაგიეებით უყვართ ღვინო და საზოგადოთ მაგარი სასმელები. თანამდებობის პირი საქართველოში, უპირველესათ ყოვლისა, კარგი მსმელი უნდა იყოს. განსაკუთრებით ეგ ქალაქის თავების შესახებ ითქმის: კაცი, რომელსაც თამადობა არ შეუძლია, საქართველოში ქალაქის თავის სავარძელს თვალით ვერ იხილავს. და მართლაც: იქ ყველა თავი ჩინებული ტოლუმბაშია. ყველაზე კარგ თამადათ საქართველოში დედა-ქალაქის, ტფილისის, თავი ითვლება. შემდეგ მიდიან საპროვინციო ქალაქების მოურავები: ოზურგეთის, ჭიათურის, ლანჩხუთის და სხ. ლანჩხუთის თავი ამასთანავე გამოცდილი მონადირეც არის. მისი „კაპუეტი“ მთელ საქართველოში ცნობილი და სახელ-მოხვეჭილია...

დღესასწაულები.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო დღესასწაულების ქვეყანაა. მე არა მგონია დედა-მიწის ზურგზე იყოს ისეთი კუთხე, რომელსაც სერიოზულათ შეეძლოს ამ სფეროში საქართველოსათვის საგრძნობი კონკურენციის გაწევა. თვე ისე არ გაივლის, რომ ქართველმა ერმა ორი-სამი დიდი, ძალიან დიდი, დღე არ გაითენოს. ზეიმობს მთელი ქვეყანა, მაგრამ განსაკუთრებულის ბრწყინვალებითა და იერით დღესასწაული ტფილისში ტარდება. ეს არც გასაკვირალია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პროვინცია ასეთ შემთხვევებში თავის მოღვაწეებსა და გამოჩენილ პირთ სატახტო ქალაქს უთმობს. ამ რიგათ: სადღესასწაულოთ ტფილისში თავს იყრიან და აღლუმში ენერგიულ მონაწილეობას იღებენ სრულიად საქართველოს საპროვინციო ქალაქებისა და დაბა-სოფლების მოწინავე ელემენტები;—სახელდობრ: საერობო მოღვაწეები, ქალაქის მამები, გვარდიის წარმომადგენლები და სხვა საპატიო გვამები. ამაო მიუმატეთ ადგილობრივი ბრწყინვალე საზოგადოება, და თქვენთვის აშკარა იქნება, თუ რათ სჯობნის ტფილისი სადღესასწაულო ეშხითა და მიმზიდველობით სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებს. ამას წინეთ გერძო მუსაიფის დროს ერთმა მეგობარმა მკითხა: „სად აქვთ ქართველ პროვინციელ მოღვაწეებს იმდენი შეძლება, რომ თვეში ორ-სამხელ სატახტო ქალაქში იმგზავრონო?“ ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ეგ კითხვა ჩინებულათ აქვთ მოწყობილი იქაურ დაწესებულებებს. ზემო-აღნიშნულ მიზნით გამგზავრებულ პირთ ისინი „სამსახურის საქმეების გამო“ წასულათ სთვლიან და გზის ფულისა და დღიურების სახით უნაზღაურებენ მგზავრობის დროს გაწეულ ხარჯებს. ეს ფრიად მოხერხებული და ჭკუიანური ზომაა. როგორც დანამდვილებით ვიცი,—ჯერ-ჯერობით ევროპის არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს ასეთი წესი. დრო კია ეს ერთი თვალ-საჩინო მაგალითი მაინც გადმოვიღოთ საქართველოს ცხოვრებიდან.

ბუნებისადმი სიყვარული.

ქართველობას უსაზღვროთ უყვარს ბუნება. ხე რა არის, და ქართველ კაცს იმის მოკრაც კი უმძიმს საკუთარ საჭიროებისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყეებით არის დაფარული. ქართველს ურჩევნია. სიცივით მოკვდეს, ვიდრე ხეს სიცოცხლე მოუსპოს და შეშათ მოიხმაროს. ამაში მე სავსებით დავრწმუნდი მიმდინარე ზამთარში: მთელი საქართველო სიცივისაგან კანკალებდა, მაგრამ ტყის მყუდროების დარღვევას არავინ ფიქრობდა. ეს არის უდიდესი მსხვერპლი, რომლის გაღება მხოლოდ სულით რაინდს შეუძლია საყვარელ არსების საკეთილდღეოთ... და მე პირდაპირ მაკვირვებს ბატონ ლოიდ-ჯორჯის მიერ ამას წინეთ თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვის ის ნაწილი, სადაც ინგლისის პოლიტიკის უმაღლესი ხელმძღვანელი ზემო-აღნიშნულ ფაქტს ქართველების სიზარმაცით და მათი მოწინავე კაცების დაუდევრობით ხსნის. სერიოზული საკითხის ასე ზერელეთ და ტენდენციურათ გაშუქება არ უნდა ენებებია პატივცემულ ჯენტლმენს...

წეს-წყობილება.

საქაროველო სოციალისტური რესპუბლიკაა. იქ ცხოვრებაში სავსებით გატარებულია დემოკრატიული პრინციპები, და ამ პრინციპებთან შეთანხმებულია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის წესები.

ბინის ხელ-შეუხებლობა

საქართველოში ყოველი მოქალაქის ბინა ხელ-შეუხებელია. ამის სამაგალითო ილიუსტრაციათ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დღეს, როცა საქართველოს ქალაქებში ბინის საშინელი კრიზისია, და უოთახო ხალხის რაოდენობა საგრძნობ რიცხვს აღწევს,—მრავლათ მოიპოვებიან ისეთი ოჯახები, რომლებსაც მთელი სახლები აქვთ დაკავებული, მაგრამ მათი ბინის შეუვალობის დარღვევა ფიქრადაც არავის მოსდის... აბსოლიუტური ამ ქვეყნათ არაფერია, და გამონაკლისების დასახელება აქაც შეიძლება: ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ბინას შეეხებიან, ისე მაგრათ შეხებიან, რომ ხალხი ქუჩაში გაუყრიათ, მაგრამ ასეთი მოვლენა ძალიან იშვიათია. მართლაც,—ყოველ გვარ ნაცნობობასა და გავლენას მოკლებული უნდა იყო ადამიანი, რომ ასე მოგექცენ...

პიროვნების ხელ-შეუხებლობა

პიროვნებაც არა-ნაკლებ პატივ-ცემულია საქართველოში. სასამართლოს დადგენილების გარეშე არ შეიძლება არავის დატყვევება. არც საგანგებო რაზმის თანამშრომლებს და არც ადმინისტრაციის მოხელეებს უფლება არა აქვთ მოქალაქის გალახვის, გამათრახებისა და უდიერი სიტყვებით შეურაცყოფის. ფაქტიურათ (და არა იურიდიულათ!) ჯამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა საჭიროა ამა თუ იმ ცუდ საქმეში შენიშნულ პირის დანაშაულში გამოტეხა, ან პოლიტიკურათ არა-საიმედო ელემენტების საასწრაფო იზოლიაცია, ეს არის და ეს. სხვაფრივ პიროვნების ხელ-შეუხებლობა საქართველოში სავსებით უზრუნველყოფილია.

გვარდია

საქართველოში ორი ტიპის შეიარაღებული ძალა: გვარდია და ჯარი. ჯარში ახალ-გაზრდები

მსახურობენ, გვარდიაში კი მეტ-ნაწილათ ხანში შესული ხალხი ითვლება. გვარდია ჯარზე უფრო ხნიერი ინსტიტუტია, და ამიტომ გასაკვირალი არ არის ის მოვლენა, რომ საქართველოს სახალხო გმირები უმთავრესათ გვარდიელთა წრეებიდან არიან გამოსულნი. ასეთია, მაგალითათ, სახელმწიფო თეატრების კომისარი და რეჟისორი—ბატონი ალ. წუწუნავა, რომელსაც 1905 წლიდან დღემდე,—როგორც ამას თითონაც მოგვითხრობს, ერთ-ერთ თავის თხუზულებაში,—მრავალი სათეატრო ბრძოლა მოუგია და არა ერთი და ორი სადეკორაციო ციხე-სიმაგრე დაუნგრევია. მადლიერმა ერმა ღირსეულათ დააფასა უშიშარი მებრძოლის ღვაწლი და უკვდავების შარავანდედით შემოსა ის...

მეზობლები

საქართველოს ირგვლივ მშშიდობიანი მეზობლები ჰყავს. არც ერთ მათგანს არა აქვს სურვილი თავის მეზობელს რაიმე ავნოს და ზიანი მიაყენოს. პირიქით: ყველანი იმას სცდილობენ ურთიერთშორის კეთილ-განწყობილება დაამყარონ და მეგობრული კავშირი შეკრან. ეს გარემოება ხელ-საყრელ პირობებს ქმნის ახალ-გაზრდა რესპუბლიკის ყოველ-მხრივ აღორძინებისათვის. გარეშე საფრთხისაგან უზრუნველყოფილი ერი მთელ თავის შემოქმედებითი ურანრს და ენერგიას სამშობლო ქვეყნის კულტურულ ზრდა-განვითარებას და ეკონომიურ წარმატებას ანდომებს.

ჩვენი ინტერესები საქართველოში

აშკარა საქმეა, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საფრანგეთისათვის საქართველოსთან დაახლოვებას და მჭიდრო კავშირის შეკვრას. საქართველოს თამამათ შეუძლია მოგვაწოდოს აუარებელი ნედლი მასალა და, რაც თავიდა-თავია, რეალური დახმარება აღმოგვიჩინოს საუცხოვოთ გაწრთვნილ ჯარების სახით, უკეთუ გერმანია გაბედავს და თავს დაგვესხმის. ამის საუკეთესო თავმდებია ის ფაქტი, რომ საქართველოს თავის საზღვრების დასაცავათ თავის შეწუხება არ სჭირდება და დიდ ძალი მილიტარული ძალა უქმათ ჰყავს გაჩერებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველებს გერმანელები ძალიან სძულთ, რადგანაც ამ რამოდენიმე წლის წინეთ ამ უკანასკნელებმა მათ სომხები წაჰკიდეს,—და ეს კიდევ უფრო მეტ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბუნებით ომის მოყვარული ქართველობა გერმანიასთან ბრძოლაში დიდის ხალისითა და ენტუზიაზმით დაგვეხმარება. ამას სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიონ საფრანგეთის ეხლანდელმა მესვეურებმა და ქართველების გულის მოსაგებათ დღესვე დაუპირონ მხარი მათი ქვეყნის ერთა ლიგაში მიღების საკითხს. საჭიროა მეტი გაბედულება და აჩქარება, თორემ საქართველოს სიმპატიების დამსახურებას იტალია (ინგლისი...) მოგვასწრებს და... მერე გვიანდა იქნება თითზე კბენანი.

d.

* * *

კანადა. კახეთი. ხშირი ტყე. ცრუ ხარი.
ფრაკს კერავს მეწაღე. დოსტაქრობს დალაქი.
ბატონის ოთახში გუზგუზებს ბუხარი.
ქალბატონს ენაზე ადნება კარაქი.
თაგვს პირის-ფარეშათ დაუდგა ბულბული.
გამბარი კითხულობს: „ოდესმე ციოდა?
წუმპეში სულს ღაფავს ლამაზი სუმბული.
გამაძღარს არ ახსოვს: გუშინ რომ შიოდა.
ქალ-ბატონს ენაზე ადნება კარაქი.
თაგვს პირის-ფარეშათ დაუდგა ბულბული.
ფრაკს კერავს მეწაღე. დოსტაქრობს დალაქი.
წუმპეში სულს ღაფავს ლამაზი სუმბული.

d

შრომის ბეგარა.

ბოლშევიკების სამოთხიდან გამოქცევის დროს ბორის კუციძეს სულ ასიოდე ნიკოლოზის ხუთას-მანეთიანი ჩამოჰყვა საქართველოში.

ამ ფულებით დაიწყო იმან ვალიუტის სარბიელზე თამაში და სულ მოკლე ხანში საკმაო ქონება შეიძინა.

იყიდდა ბონებს, გაყიდდა—მოიგებდა; იყიდდა სტერლინგებს, გაყიდდა,—მოიგებდა. ასე ფრანკებზე! ასე დოლარებზე! ასე ლირებზე! ასე მარკებზე!



— დალიე! დალიე, შე საწყალო!—ეუბნებოდა ბორის კუციძეს მეუღლე.—ხომ ხედავ ადამიანის ფერი აღარ გადევს. დღეს ბულიონს გაგიკეთებ, ახალ წიწილებს მოგიხარშავ, იქნებ სჭამო და შეგერგოს რამე.

— არა, ჩემო როზოჩკა! წიწილებს ვინ მოინელებს, რამე სხვა გააკეთე...

წამლისა და კაკაოს მიღების შემდეგ ბორის კუციძე ჩვეულებრივ ვალიუტის „სათამაშოზე“ გამოვიდა.



საუბედუროთ, მას თვალი შეასწრეს, დაიჭირეს.



და სავალდებულო შრომის ბეგარის ხელმძღვანელ ზაქარია გურულთან გაგზავნეს.

გულჩვილმა ზ. გურულმა გამოიძია ყველაფ-რი. როგორც სპეკულიანტს და არავითარი საზოგადო ღირებულების არ შემოქმედს, ბ-ნ კუციძეს ყარაიაზის ტყეში შეშაზე მუშაობა გადაუწყვიტა.

სპეკულიანტმა მიაწყ-მოაწყო შინაური საქმეები, სამუდამოთ გამოეთხოვა ცოლს და გაემგზავრა ყარაიაზისაკენ.

პირველ დღესვე მიუყენეს ბორის კუციძე ერთ უზარ-მაზარ ხეს. ნაჯახის თითო მოქნევა კუციძის გულს ვერცხლის წყალივით ათამაშებდა და ოფლით მორწყული,

წამ და უწუმ ისვენებდა. სხვათა მაგვართა დახმარებით ხე წაქცეულ იქმნა და აი,

ბორის კუცაშოს მიაქვს რამოდენიმე ნაპობი ნედლი შეშისა, რომ საძირკველი ჩაუყაროს იმ საისტორიო შენობას, რომელსაც კუბიკური საჟენი ეწოდება.



შუადღისას ღონე მიხდილი ბორის კუციშო მუშაობის ხელმძღვანელმა სადილზე მიიწვია. ბორისი გემოიანად შეექცა სამხედრო წესზე მომზადებულ ბორშჩსა და კამეჩის ხორცს. წიწილებსა და ბულიონებზე ლაპარაკი აქ მეტი იყო.

საღამოთი, საკმაოდ დაქანცული ბორისი წამოწვა მიწურ ქოხში სქლად გაფენილ თივაზე და თავის მახსოვრობაში პირველად დაიძინა ასეთი ღრმა და მშვიდობიანი ძილით.

რაც დღე გადიოდა, ბორისი მით უფრო ხელმარჯვედ უქნევდა ცულს, და დაკისრებული შენობა ზეცისკენ აჰყავდა.

როდესაც მან დაამთავრა თავისი კურსი და დადგმულ საქმეებს თვალი გადაავლო, მყის გაიღვიძა მის გულ-ში ვაჭარმა, მაგრამ უმალვე თავი შეიკავა და შემუშავებული გეგმა შეშის შეძენისა, მერმე იმისი გაყიდვისა და ამაზე ფულის მოგებისა, აღარ გაუმხილა.



როდესაც ყარაიაზიდან დაბრუნებულ ბორის კუტიშოს მისი მეუღლე გამოეგება და გაადახვია, მხოლოდ მაშინ დააფასა ქალბატონმა რა ზომ განსაცვიფრებელი ცხოველ-მყოფელობა შრომის ბეგარისა და ათასი ლოცვა კურთხევა შეუთვალა მის ხელმძღვანელს, ზ. გურულს.

P. S. მოგეხსენებათ, ქვეყანა ძნელი გასასწორებელია! ბორის კუტიშოს შემთხვევით მოხვდა მართლ-მსაჯუ-ლების ხელს. სამაგიეროთ, როგორც კი გაიგო ამბარცუმ ქრთამიანცმა სავალდებულო ბეგრის შემოღების ამბავი, იმავ წამს გაქანა ექიმ მიხრანსისთან. კარგი მეგობრები არიან, ვინაიდან ჯერ კიდევ ძველი მთავრობის დროს სასალდათო ახალგაზრდებს ერთად ათავისუფლებდნენ.



— უნდა გამშინჯო მიხრან-ჯან!
— გაგიჟდი კაცო, თუ რა ამბავია! კაცი ბაუ-ბაუ მდევსა ჭეგეგსარ და სიქიმო რა გეგარს.
— არა მაინც... მაინც. შრომის ბეგარა მოიგონეს რადაც ჯანაბა...
— აჭაა! ახლა კი მივხვდი. ეს ცოტა სარისკო სიქმეა.

რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?

ანუ ქართველ ბოლშევიკთა მოღვაწეობის მოკლე ისტორია

ახალი წლის შეხვედრაზე
კომუნისტებს ქონდათ სხდომა.
ახალგაზდა კომუნისტმა
იმის ცოდნა მოინდომა,
თუ წარსულში იქ დამსწრენი
რას ქმნიდენ და რა შვრებოდენ,
ძველ რეჟიმს როგორ ანგრევდენ
და როგორ ბოლშევიკობდენ...
მოხუცს კითხა: პაპა ჩემო,
მითხარი ჩვენი ამბავი,
სამი წლის განმავლობაში
რითი ვისახელეთ თავი?
მაგალითად მაშინ, როცა
გაბოლშევიკდა ჯარები,
თორფი მშობელს მიუღირა,
მტერს კი გაუღო კარები,—
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
—არსენალში ჩავსაფრდით და
თბილისს ნგრევას ვუპირობდით!

მერე, როდესაც გვარდიამ
ხელთ ჩაიგდო არსენალი,
რუსები სახლში გაგზავნა
თბილისისკენ მომავალი,
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
— ზუგდიდის და გორის მაზრას
ცეცხლის ალშიდა ვახრჩობდით!
მერე, როცა საქართველოს
შემოერტყა ირგვლივ მტერი,
ბათომისთვის იარაღით
შეიმოსა მთელი ერი,
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
— საქართველოს დამარცხებას,
ჯარის დაშლას ვუნდებოდით!
მერე როცა საქართველოს
ძლიერება ვერვინ დასძრა,
დაამშვიდა სამეგრელო
ლეჩხუმი და გორის მაზრა,—
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
— კავკავისკენ გავიპარეთ,
დენიკინს ვემუქრებოდით!..
მერე, როცა დენიკინმა
დაგვამარცხა ვლადიკავკაკს,
უაზბეგისკენ გამოვკურცხლეთ



—რასაკვირველია, ჩემო ამბარტუმ, მარტო აგებულებაზე არ არის საქმე! ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანს ეგონოს, მაგრამ გული სუსტი გქონდეს. ფილტვები დაზიანებული და ვინ იცის კიდევ რა...

ამბარტუმ ქრთამიანი ამ გზით უმეტ კაუძრა საკვლდებულო ბეკარას, თითქო მისთვის საკვლდებულო მარტო მუქთახორობა იყოს.

არც თუ ცუდი ტუზიშვილი ჩაუკარდა ხელში საკვლდებულო ბეკარას. მარიალია ის დასტუსადეს, მაგრამ არ გასულა სულ რადაც ორიოდ საათი, რომ

ძლივს-ღა გადავურჩით საფლავს,
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
— ლეგარულათ ვცხოვრობდით და
„ნელეგალნო“ ვღალატობდით!..
მერე, როცა საქართველომ
და რუსეთმა შეკრა ზავი,
„სოვეტნიკებათ“ დაგვნიშნეს
მისიაში ვკარით თავი,—
რა ვაკეთეთ, რას ვშრებოდით?
— საქართველო-რუსეთს შუა
ღალატურათ გბეზღაობდით...
მერე როცა საქართველომ
სასომხეთო დაამარცხა,
ადერბეიჯანმა ომში
სირცხვილი და მარცხი ნახა,
თათრები ძმობას გვიცხადებს
ბრძოლას ველარა ბედავენ,
რუსებიც ყუჩათ არიან
ხალხის ძალას რო ხედავენ,—
რას ვაკეთებთ და რას ვშრებით?
— ჯავრით ყველა ტუჩებს ვიკვნეტთ
და თავიანთ გულს ვასკდებით!

გრ. სლუჩაინი

შექანჯალებულის ლექსები.

ოჰო!... დაღამდა... ჩემს თვალში
ღამემ ჩაშალა შავი თმა...
გული ამევსო კაეშნით,
თითქოს მომინდა ავის თქმა.

—

ავის თქმა?—არა! ეს არ მსურს,
ავი რა საკადრისია,
პილპილ წაკრულსა სიმართლეს
ვეტყვი ვინც ამის ღირსია.

—

ვაი, თლად წახდა დროებამი!!.
წიწილი მინდა ვაკურთხო...
— რა ზრდილობა და წესია
— სადაც გსურს-იქით აფურთხო...

—

ვიცი ზოგ-ზოგი ჩვენგანი
შეიქნა დღეს გულ-ცივია
და ცხოვრების გზას უნათებთ
მათ სხვა-ახალი სხივია,

ნ. გურულის კაბინეტთან უკვე საკმაო გრძელი კუდი იდგა წარჩინებულ მამაკაცთა და მანდილოსანთა. ვინ გინდა აქ არ იყოს: მთავრობის კაცი, სამხედრო პირი, დამფუძნებელი კრების წევრი, ჟურნალისტი, ბანქოს მოთამაშე, ქველ-მოქმედი, ვაჭარი, ერთი სიტყვით ყველა ის, ვისაც სამსახური იფარავს ყარაიაზში მუშაობისაგან. და რკინა უნდა იყოს ადამიანი მათ თხოვნას გაუძლოს.

ცუბო ტუზიშვილმა იმავ ღამით 50000 მანეთი მოიგო ერთ კეთილშობილ ოჯახში კარტის თამაშით და დიდებულ ვახშამზე სავალდებულო შრომის ბეგარის სადღეგრძელო დალია.

მაგრამ ერთ რამეს მაინც ძმავ,
კი უნდა დღეს გაფრთხილება—
—ციხეს გარედან რა გასტეხს
—ავნებს შიგ განხეთქილება.

—

სჯობს თავი ჩვენი, თვით ვიცნათ,
ღირსებას მოვერიდოთ...
სხვის სულში თუ ვიქვრიტებით
ჩვენსაშიც ჩავიჭვრიტოთ.

—

მარცხები ვის არ მოსვლია...
ფეხი კი წაგვიტეხია..
ჯორი ხომ არ ვართ მრუდ მართალს,
ყველას გავარტყათ ფეხია.

—

ჰა, ჰა, ჰა... არავის გეწყინოთ!..
არ მოელოდით ამგვარ ძღვენს?
ავი საქმე და ავის თქმა—
— ორივე კაცსა შეარცხვენს...

—

დაჰქროლა ქარმა ცის ქვეშა,
ველს უნდა გადაურჩინოს.
მგონი მოუნდა კიდესა
რომ დიდ მოსკოვსა ურქინოს.

ძალით ცხონება სად თქმულა...
შიშით ვერ შექმნი სიყვარულს...
ძალით სიწითლე ვის არგებს;
ვის მისცემს შვებას, სიხარულს...

—

ამ ღორმუცელა მიტრუხამ
რამდენი ნავთი დალია,
ბნელში დასტოვა მაშადი,
ესეც მას!!! მისი ბრალია!!!

—

თუ რომ მეზობლად მტერი გყავს,
მშვიდათ ვერ დაგეძინება,
გაიცან მტერი... და მისგან
მტრობის ნუ შეგეშინება.

—

მტრისგან მოყვრობას ელოდე—
— ეს კატას გაეტანება...
ბაქოს კვლავ არ სურს ჩვენსკენა
ნავთისა წარმოდინება.

—

პირის შლა, შარი, გინება
ფლიდ მტერის არის თვისება...
სოჯნარხო! რატომ ინებე
ცისტერნთა შენ მითვისება?!

საგარეო საქმეები.

ახალი მეთოდი საგარეო საქმეებში მოქმედებისა, რომელიც ჩვენმა პარიზელმა დელეგაციამ შეიმუშავა, როგორც ვხედავთ ერთობ თვალსაჩინო ნაყოფს მოგვცემს ახალი მომავალში.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ გარეშე დემოკრატიისა ყველა ევროპის სახელმწიფოს ჰყავს განსაკუთრებული კლასი სამთავრობო პირებისა და ასეული იმდენივე, ან ორჯერ მეტი მათის ნდობით აღჭურვილნი.

ჩვენმა წარმომადგენლობამ დაიწყო მათთან საერთო ენის გამონახვა და შემდგომად ამ ენის გამონახვისა მათი გამოყენება ჩვენი ინტერესებისათვის. გული არ უნდა გაგვიტყდეს მაგალითად თუ ბ-ნი დრიანი დღეს-დღეობით მთავრობის თავმჯდომარე არ არის; შეიძლება ბრიანის ადგილას ის დაინიშნოს.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, რათა ჩვენმა წარმომადგენელმა კეთილმეზობლური დამოკიდებულება იქონიოს, როგორც დღევანდელ მთავრობის წევრებთან, აგრეთვე ყველა იმათთან, ვისაც დაუდგრომელი ბედი ხვალ მინისტრობას არგუნებს.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი წარმომადგენელი, შალიკო, ასეთს კარგ განწყობილებაშია დეიგს და მილიერანთან. ის ჩადგება ხოლმე მათ შორის და სეირნობს ელისეის მინდვრებსა და ტყეებში. როგორც ბ-ნი პრეზიდენტი, აგრეთვე ბ-ნი პრემიერი, დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ასეთი „თავმდაბლობის“ გამო.

სოვნარხოზ! ჩვენი ბრაზითა
თლად აგერევა დავთრები...
შენ მაქ ნავთი სვი... და მე აქ
წითელ კახურით დავთვრები...

—

მოვხუცდი კაცი... ულვაშებს
უვვე ვილებავ ინითა...
შაქარი შამომელია,
ჩაის ვსვამ სახარინითა.

—

რა მოიგონა ტფილისმა!!
— ჩაის სმა სახარინითა!!
სწორედ რომ არის თილისმა!!
ქირში განთქმული ტვინითა.

იცით, რა მომწონს ამ ქვეყნად?
— მაგიდის პური... სამშობლო...
შეშაზე ფიქრი ოცნება,
და სახარინი — „ჟანბორბლო“.

—

შეშაზე ფიქრით თავს ვიქცევ,
სამშობლოს ვუქვრეტ ლხინითა,
მაგიდის პურს „ვაპრიკუსკებ“ —
ჩაის რო ვსვამ სახარინითა.

შექანჯალებული.



სამაგიეროთ, ჩვენი ახალი თანამშრომელი, ლადო გუდიაშვილი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ მშვენიერ არსებათ, რომელთაც ახლო კავშირი აქვთ სამინისტრო, საპრემიერო და საპრეზიდენტო გვამებთან.

გურიული სცენა

რეიზა არ დეიქცა იგი დღეი, იგი საათი და იგი წამი მე რომ თფილისში წასვლა დავაპირე...

რაცხა ეშმაკათ, ჩემმა ბიჭმა, ელექთერამ შარშან ღემლაზიე გაათავა და დამიჩემა: ჩემი ბაბეო, ბარალამ უნივერსიც გამათავებიე, მიქენი სიკეთეო... ავწიე, და ქე შევიყვანე თფილისის უნივერსში... რაცხა, პაწაი, ადგილში ქე ჩადგა იქინე, პაწის აქიდან ვუგზავნი ფქვილს და ლობიას და ისე გააქ სული ამ სიძვირეში. აგერ, გუშხამ, შემომითვალა: არიქა, ჩემი ბაბაიე, პაწე ქადის ქფილი და ლობიე მომაშველე, თვარა ვკტები შიმშილითო... ვიფიქრე.—ბალაჟათ გუუგზანო, ვერ მიიღებს ერთ წელიწადს მეთქინ... ავდექი და მე თვითონ წუუღე... საჯავოხოში ქე ჩავედი რავარცხა პოვეზში, და კბილით ქე ჩევიტანე სული თფილისში... მარა, ღმერთმა ჩემს მტერს ნუ წაკიდოს იგი, რაც მე უკან დაბრუნებაზე დამადგა... ნენა, ნენა! რას მევესწარით ამ საშინელს... არ იქნა, რომ ჩავდექით ვეჩერედში, ბილეთის აღებას არ დაადგა საშველი. ხუთი დღე და ღამე ვიდექი ვოჩერედში, ჩამოვწტი ფეხზე, ვიდექით ერთ ადგილზე და ვიყავით გაჩერებული. ვუყურებ, აგერ დღეს, აგერ ხვალ მელირსოს ეგება ბილეთის აღება მეთქინ; მარა არ შეგჭამოს ჭირმა, სათ არის ბილეთი?!. წინ მაინც წემდგა ერთი ნაბიჯი ვეჩერედში, გული გამიკეთდებოდა, ვეყარეთ ისე ცხვრებივით, არც წინ, არც უკან! აი, პოვეზდები კი მიდიან და მიდიან ტანციედან ხალხით გაჭედილი... გადვირიე კაცი... რაშია საქმე? აი თელი ეროპია ხალხი რომ ვეჩერედში ვართ გაჩერებული და ბილეთები არც ერთს რუმ არ აგვილია, აგი ხარესკელი ხალხი ვინ შეიყვანა ამ პოვეზდში? ვფიქრობ და ვატან თვალ-ყურს, მინდა ვინმეს ვკითხო, მაგრამ, ვეჩერედიდან თუ გამევედი, ხომ დემეკარქა ვეჩერედი, აბა ვეჩერედში ვინ გეტყვის სიმართლეს, იქინე ყველაი ჩემსავით ხამები იყვენ. ასე დავაკანკალე ოთხი დღეი და

შრომის განაწილებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია და რასაკვირველია ახლაც ექნება. ჩვენც სრული იმედი გვაქვს ახალი თანამშრომლის, დ. კაკაბაძის საჩვენო საგარეო საქმეში ჩარევა დიდათ დააწინაურებს საქართველოს საბოლოოდ ცნობის საკითხს.

ღამე, მეხუთე დღეს, გევიხედე და ჩემთან მევიდა აი, ჩვენი ეგვიტის ბიჭი, კოწიე, ტანციაში რომ მსახურობს, თფილისში. გეიცინა და მითხრა:

რას გაჩერებულხარ კაცო, მაქანე, მაგ ვოჩერედში, მაქანე თელი წელიწადი რომ უყურყუტო, შინ წასვლას ვერ ეღირსებიო.

— თუ ღმერთი გწამს კოწია, მითხარი, რავქნა, რაფერ ვიშონო ბილეთი, მასწავლე მეთქინ, შევეხვეწე...

— ცოტა მეტს თუ მიცემ, ბილეთები ერთ კაცს გამუაქ და იგი მოგყიდის საიდუმლოთ...

— რამდენი უნდა?

— რამდენიო, და სამი ათასი. თუ შეგიძლია ბილეთს ქე იშონი.

— ბიჭო, სამი ათასი სათ მაქ?

— აბაო, თუ გყავს ვინმე ნაცნობი დამფუძნებელი კრების წევრი, ან სხვაი ვინმე და მიგიწერს კასაში, ეგება მოგცენ ბილეთი.

— შენს მეტს, არაკაცს არ ვიცნობ ძამია აქანე და შენ თუ მიშონი, მიშველე.

— მე რაფერ გიშონო და, თუ არც აგი შეგიძლია, მაშინ შეხტი უბილეთოთ პოვეზში რამენაირათ და მერე ნუ გეშინიაო...

— ა, ბიჭო, არიქა, მიშველე, ერთი პოვეზში შემაგდე რამენაირათ და მერე მე ვიცი.

— გამომიყვანა ვეჩერედიდან, საცხა გამაძერინა,—გამომაძვრინა, მიმიყვანა პოვეზდთან, გამაჩერა ერთ გატეხილ აკოშკიან ვაგონთან, ამწია და ზე შემაგდო პოვეზში. მოვრჩი კაცი, აწი, აფერი მიჭირს მეთქი... გევიხედე, გაჭედილია თლად პოვეზი: თურმე, ორი მესამედი ასე ძდება უბილეთოთ პოვეზში და მერე **რავარც მოურიგდებიან კანუხტორს**, იმას იხთიენ. ზოგი პროტენკციეთ იღებენ თურმე ბილეთს და ზოგი მამასისხლათ ყიდულობს სპეკულანტებისგანო, მითხრეს... მეც „მოურიგდი“ კანუხტორს, რავარც იქნა... უბედური, საწყალი ჩემსავით გაჭირვებული ხალხი, თვარა სხვას ყველას ეშველება; პეკულანტები ყოველთვის მისი ჯიბეიზა მეიჭახრაკებენ ამისანა უბედურობას; ვისაც ვინმე დიდი კაცი ნაცნობი ყავს, პროტენკციეთ იგიც ქე მიდის იოლათ, ოღონდ ჩემ საქმეს არ დაადგება საშველი. ქათამმა თქვა თურმე; ძროხა დაკლეს,—მე წამაკლეს, ცხვარი დაკლეს, მე წამაკლეს, თხაი დაკლეს მე წამაკლეს, ღორი დაკლეს, სწორეთ ასეა ჩემი, საქმე, ცოცხალი კი ჩამევედი შინ, სული კი ჩამევიტანე კბილით... და აწი რავა ვიზამ პირს თფილისისკენ დღეში ოცდა ხუთმა მარშინამ რომ იბრიგინოს ბათომს და ტფილის შუა. თუ რამე დამირჩა, ბალაჟათ ქე გაუგზავნი ბიჭს, თვარა, ისე არ გაასცივა ჭირმა, სული რომ ხვდებოდეს ელექვთერას და შემომითვალოს, მე იქით ვერ მაქნიებს პირს კაცი.

ლუკაიეს ობოლი

საქართველო და საბჭოთა რუსეთი.

„ეშმაკის მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 50 მან.

ჟურნალში დაიბეჭდება **განცხადებები** ———

რედაქციაში შეიძლება შეძენა დღემდე გამოსული ნომრების. ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24. ეშმაკის მათრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღიაა 9—2 საათამდე.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია